
99.60
100.40
472.42
A0

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული აზომვითი ნახაზი



შენიშვნა: მიწის სამუშაოების დაწყების წინ, გამოძახებული უნდა იქნას, მიწისქვეშა კომუნიკაციის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი

პირობითი აღნიშვნები	ტოპოგრაფიული ნახაზი მ 1:500 / რელიეფის კვეთა 0.5მ					
მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ცოცხალი ღობე	ღობე		
კანალიზაცია	შენობა	გაზონი	ხეების რიგი	ბორდიური		
დენის კაბელი	არკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი	ბეტონი		
გაზის მილი	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი		
წყლის მილი	კიბე	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი		
კავშირგაბმულობა	ფოთლოვანი ხე	ონკანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი		
	წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური		
	ხეხილის ხე	გეოდეზიური ნიშნული	იზოჰიფსი	ფლატე		
	პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი იზოჰიფსი	წყლის კონტური		

პროექცია UTM 38N საკოორდინატო სისტემა WGS 84	შპს „ორიონი" ქ. თბილისი, ხანძთელის ქუჩა №1	Ltd"orioni" ტელ: +995 557-51-51-15 E-mail: Ltdorioni@mail.ru
დირექტორი		მ. ცინცაძე
კომპ. უზრუნველყოფა		ნ. ცინცაძე
აზომვა		მ. ცინცაძე
მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №25 ს/კ01.10.14.008.052	
	მასშტაბი 1:500	11.01.2019

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროლოგიური პროექტი



თბილისი 2023

მისამართი:	ქ. თბილისი. ვაჟა-ფშაველას გამზირი №25
საკადასტრო კოდი:	01.10.14.008.052
მიწის ნაკვეთის ფართობი:	4839კვ.მ
ნაკვეთის დანიშნულება:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
მფლობელი:	პ.ს. "ვაჯა-ფშაველა თაუერსი" ს/კ 404651015
კ3 კოეფიციენტი:	0.1
გამწვანების ფართობი:	483.26 კვ.მ

დამკვეთი:	შ.პ.ს."ვაჯა-ფშაველა თაუერსი" პ/ნ 404651015
შემსრულებელი:	ლიანა ქესანაშვილი

წერილის ნომერი: **18-01223183083**
თარიღი: **14/11/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01222833253
წერილის თარიღი:	10 ოქტომბერი, 2022
განმცხადებელი:	კონსტანტინე ურუშაძე
განაცხადის N	AR1922715
მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, #25
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.14.008.052
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ალმა“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ფოტოსურათები სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება (ბ01.012221611) 2019 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებაში (#ბ01.01192952) ცვლილების შეტანის თაობაზე
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლი; საქართველოს კანონის

,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, 29-ე, 30-ე, 38-ე, 39-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

იმისათვის, რომ სამსახურმა დააფიქსიროს 25 სანტიმეტრზე მეტი დიამეტრის მქონე დიდტანოვან ნარგავებთან დაკავშირებით პოზიცია, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს **8 ძირი მწვანე ნარგავის (კედარი #6-59სმ; #7-68სმ; #9-57სმ; #10-72სმ; #11-84სმ; #35-76სმ; თუთა #36-60სმ; ცაცხვი #57-38სმ) გადარგვის აგროტექნიკური მეთოდოლოგია და წერილობითი დასტური იმ პირისგან (ფიზიკური/იურიდიული), რომელსაც გააჩნია დიდტანიანი მწვანე ნარგავ(ებ)ის გადარგვის შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს დიდტანიანი მცენარეების გადარგვის მომსახურებას, აგროტექნიკური წესების დაცვით.**

უფლებამოსილმა პირმა (ექსპერტმა) დიდტანოვანი ნარგავების გადარგვის აგროტექნიკური მეთოდოლოგია უნდა შეადგინოს მცენარის ინდივიდუალურ მონაცემებზე დაყრდნობით. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების - ხნოვანების, დიამეტრის, სიმაღლის, მდგომარეობის, არსებული გარემო პირობების, გადასარგავი ტერიტორიის შეფასების გათვალისწინებით.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დოკ. №: 2210-381

თარიღი: 05.10.2022

DEMASO WOOD 1

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N25	*01.10.14.008.052*	*შპს "ალმა"*	*4839 მ²*

შეფასებული მცენარეები: ***67 ერთეული** **

რაოდენობები დეტალურად	*სულ*	*ხილკენკრ.*	*ბუჩქები*	*სხვა ხეები*
ერთეულების (ნომრების) რაოდენობა*	*67*	*7*	*3*	*57*
ინდივიდუალურად შეფასებული მცენარეები	*66*	*7*	*3*	*56*
ამონაყარის შეფასებული ჯგუფები	*1*	*-*	*-*	*1*
ჯგუფების შემადგენელი მცენარეები	*3*	*-*	*-*	*3*
ინდ. შეფასებული + ჯგუფების შემადგენელი	*69*	*7*	*3*	*59*

*** ერთეული** - ინდივიდუალურად შეფასებული მცენარე ან ერთიანი ამონაყარის სახით შეფასებულ მცენარეთა ჯგუფი, რომელსაც, დოკუმენტაციაში მოსახსენიებლად, შეფასებისას მიენიჭა ერთი უნიკალური ნომერი.

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
ტერიტორიის აღწერა	*1*
ჩატარებული სამუშაო	*1*
რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით	*1*
მცენარეთა მდგომარეობა	*2*
გადარგვის შესაძლებლობა	*2*
დასკვნა	*3*
დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი	
დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია	

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70



შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის N25 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.10.14.008.052 მიწის ნაკვეთზე არსებულ მერქნიან მცენარეთა ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

იგი მომზადებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11.06.2022 №11-58 დადგენილებისა და საქართველოს 01.12.2000 №594 კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოკუმენტს დანართებად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი და ფოტოსურათები.

ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი ფართობია 4839 მ^2.

თბილისის ფუნქციური ზონირების მიხედვით, ნაკვეთის უმეტესი ნაწილი მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1), ასევე ნაწილობრივ ფარავს ზონა - საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6).

ჩატარებული სამუშაო

2022 წლის 2 ოქტომბერს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.10.14.008.052 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება.

შეფასებისას, მცენარეთა აღწერა მოხდა:

- ინდივიდუალურად (განცალკევებით), ან
- ჯგუფურად (ერთიანი ამონაყარის სახით).

ჯგუფურად აღიწერა ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს (ჯგუფის ცენტრიდან 1 მეტრის რადიუსში) მოზარდი, ერთიან ამონაყარად განხილული, ერთი და იგივე სახეობის 4 სმ-მდე ღეროს დიამეტრის ხე-მცენარეები.

შეფასებისას, განცალკევებით აღწერილ **თითოეულ ინდივიდს და** ასევე, ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილ მცენარეთა **თითოეულ ჯგუფს მიენიჭა უნიკალური ნომერი**. თითოეული მცენარე ან ჯგუფი ამ ნომრით მოიხსენიება წინამდებარე დოკუმენტში და მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციასა და ნახაზებზე.

თითოეული უნიკალური ნომრის შესაბამისი მცენარე ან ჯგუფი წინამდებარე დოკუმენტში მოიხსენიება ***“ერთეულად”*** და მცენარეთა რაოდენობები ძირითადად ამ ერთეულთა რაოდენობების სახით არის მოცემული.

თითოეული ერთეულისთვის (მცენარისთვის ან ჯგუფისთვის) აღებულ იქნა სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვის შესაძლებლობა, მოხდა თითოეულის დასურათება.

მცენარეთა აღწერის საბაზისო მონაცემები იხ. მცენარეთა შეფასების უწყისში (დანართი 1).

რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით

შეფასებული **67 ერთეული** მოიცავს ინდივიდუალურად აღწერილ **66 მცენარეს** და ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილ **1 ჯგუფს**. ისინი სახეობებისა და ნომრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (ჯგუფების ნომრებს ფრჩხილებში უწერია შემადგენელ მცენარეთა რაოდენობა):

- **7 ერთეული – ხილკენკროვანი სახეობები**
  - 4 ლეღვი (Ficus carica) NN 13, 17, 22, 26
  - 1 ჭერამი (Prunus armeniaca) N 41
  - 2 ტყემალი (Prunus cerasifera) NN 23, 46
- **3 ერთეული – ბუჩქოვანი სახეობები**
  - 1 სირიული ვარდი (Hibiscus syriacus) N 14
  - 1 კვიდო (Ligustrum) N 12
  - 1 ოლეანდრი (Nerium oleander) N 62
- **46 ერთეული (2 ხმობადი, 3 ზეხმელი) – დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 3 ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo) NN 18, 21, 61
  - 28 ბოკვი (Acer velutinum) NN 19, 24-25, 27-32, 40, 45, 47 (3), 49-56, 58-60, 63-67
  - 6 თუთა (Morus) NN 3, 4, 5, 16, 36, 37
  - 7 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1 (ზეხმელი), 2 (ზეხმელი), 38 (ზეხმელი), 39 (ხმობადი), 42, 43, 44 (ხმობადი)
  - 1 თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia) N 48
  - 1 კავკასიური ცაცხვი (Tilia caucasica) N 57
- **9 ერთეული (2 ხმობადი, 2 ავარიული) – დაბალი ღირებულების ჯგუფის წიწვოვანი**
  - 9 ჰიმალაის კედარი (Cedrus deodara) NN 6, 7, 8 (ავარიული), 9, 10, 11, 33 (ავარიული ხმობადი), 34 (ხმობადი), 35

- **2 ერთეული – მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი**
  - 2 კაკლის ხე (Juglans regia) NN 15, 20

მათ შორის, **2 ერთეული წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობას:**
  - 2 კაკლის ხე (Juglans regia) NN 15, 20

ერთიანი ამონაყარის სახით აღიწერა შემდეგი 1 ერთეული (ნომრების შემდეგ, ფრჩხილებში წერია ჯგუფის შემადგენელი მცენარეების რაოდენობები)**:**
  - 1 ბოკვი (Acer velutinum) N 47 (3)

მცენარეთა მდგომარეობა

შეფასებული 67 ერთეულიდან 60 არის ჯანსაღი, ხოლო 8 - ხმობადი, ზეხმელი და/ან ავარიული. იხ. ცხრილი 1.

ავარიულ მცენარეებს წარმოადგენენ:
  - ვერტიკალური მდგომარეობიდან ძლიერ გადახრილი - კედარი N8;
  - ხმობადი - კედარი N33;
  - ხმობადი და გადაბერებული - ვერხვი N39

სამივე მათგანს გააჩნია წაქცევის და შედეგად, გარემოს დაზიანების მაღალი რისკი.

ცხრილი 1. *01.10.14.008.052 მიწის ნაკვეთზე არსებული არაჯანსაღი და ავარიული მცენარეები.*

№	ერთ. №	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
			10 სმ	1.3 მ		
1	1	ვერხვი (Populus deltoides)	80	61	8.0	ზეხმელი/ გადანაბელი
2	2	ვერხვი (Populus deltoides)	86	63	8.0	ზეხმელი/ გადანაბელი
3	8	კედარი (Cedrus deodara)	70	57	15.5	ავარიული/ გადახრილი
4	33	კედარი (Cedrus deodara)	57	51	10.5	ხმობადი/ წვერხმელი/ ავარიული
5	34	კედარი (Cedrus deodara)	48	41	14.5	ხმობადი/ წვერხმელი
6	38	ვერხვი (Populus deltoides)	76	64	7.0	ზეხმელი/ გადანაბელი
7	39	ვერხვი (Populus deltoides)	80	64	16.5	ხმობადი/ ავარიული
8	44	ვერხვი (Populus deltoides)	29	3.2	2.5	ხმობადი/ ფუღუროიან კუნძზე ამონაყარი

გადარგვის შესაძლებლობა

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, არახილკენკროვანი სახეობებიდან გადარგვას (შემდგომი გახარების მაღალი ალბათობით) შეიძლება დაექვემდებაროს 52 შეფასებული ერთეული.

გადარგვადი ერთეულების ნომრები (ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილი ჯგუფების ნომრებს ფრჩხილებში უწერია შემადგენელ მცენარეთა რაოდენობა): 3, 4, 5, 6, 7, 9, 10, 11, 12, 14, 15, 16, 18, 19, 20, 21, 24, 25, 27, 28, 29, 30, 31, 32, 35, 36, 37, 40, 42, 43, 45, 47 (3), 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67.

მათგან, 37 ერთეულის ღეროს დიამეტრი არის 25 სმ ან ნაკლები, ხოლო 15 ერთეული წარმოადგენს დიდტანიან (ღეროს დიამეტრით 25 სმ-ზე მეტი) მცენარეს.

25 სმ ან ნაკლები დიამეტრის გადარგვადი ერთეულების რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით (ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილი ჯგუფების ნომრებს ფრჩხილებში უწერია შემადგენელ მცენარეთა რაოდენობა)**:**
  - 1 სირიული ვარდი (Hibiscus syriacus) N 14
  - 1 კვიდო (Ligustrum) N 12
  - 1 ოლეანდრი (Nerium oleander) N 62
  - 3 ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo) NN 18, 21, 61
  - 23 ბოკვი (Acer velutinum) NN 19, 24, 25, 27, 28, 29, 30, 31, 32, 40, 45, 47 (3), 52, 53, 54, 55, 56, 58, 59, 60, 63, 64, 65
  - 3 თუთა (Morus) NN 4, 16, 37
  - 2 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 42, 43
  - 1 თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia) N 48
  - 2 კაკლის ხე (Juglans regia) NN 15, 20

დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის) გადარგვადი ერთეულების რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით:
  - 5 ბოკვი (Acer velutinum) NN 49, 50, 51, 66, 67
  - 3 თუთა (Morus) NN 3, 5, 36
  - 1 კავკასიური ცაცხვი (Tilia caucasica) N 57
  - 6 ჰიმალაის კედარი (Cedrus deodara) NN 6, 7, 9, 10, 11, 35

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2022 წლის 2 ოქტომბერს, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის N25 მისამართზე, ს/კ 01.10.14.008.052 მიწის ნაკვეთზე, მერქნიანი მცენარეების ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

მცენარეთა რაოდენობები გამოსახულია “ერთეულებში”. “ერთეულში” იგულისხმება ან განცალკევებით აღწერილი მცენარე ან ერთიანი ჯგუფის სახით აღწერილ მცენარეთა ერთობლიობა. თითოეულ ერთეულს შეესაბამება შეფასებასას მისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი, რომლითაც იგი მოიხსენიება წინამდებარე დასკვნასა და სხვა დოკუმენტაციაში.

ერთიანად აღწერილ მცენარეთა ჯგუფების ნომრებს, ფრჩხილებში უწერია შემადგენელ მცენარეთა რაოდენობები.

1. ერთეულების, ცალკე აღწერილი მცენარეების და ჯგუფების რაოდენობები. სულ, შეფასდა 67 ერთეული: 66 ცალკე აღწერილი ინდივიდი და 1 ჯგუფი.

2. ჯგუფურად აღწერილი მცენარეები. ჯგუფურად აღწერილი 1 ერთეული წარმოადგენს ერთმანეთთან უშუალო სიახლოვეს (ჯგუფის ცენტრიდან 1 მეტრის რადიუსში) მოზარდ, ერთიან ამონაყარად განხილულ, ერთი და იგივე სახეობის 4 სმ-მდე დიამეტრის ხე-მცენარეებს:
- 1 ბოკვი (Acer velutinum) N 47 (3)

3. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 67 ერთეულიდან 60 არის ჯანსაღი, 8 - ხმობადი, ზეხმელი ან/და ავარიული. მათ შორის:
- 7 ერთეული - ხილკენკროვანი (ყველა ჯანსაღი)
- 3 ერთეული - ბუჩქოვან სახეობათა წარმომადგენელი (ყველა ჯანსაღი)
- 46 ერთეული - დაბალი ღირებულების ფოთლოვანი (2 ხმობადი, 3 ზეხმელი, 1 ავარიული)
- 9 ერთეული - დაბალი ღირებულების წიწვოვანი (2 ხმობადი, 2 ავარიული)
- 2 ერთეული - მაღალი ღირებულების ფოთლოვანი (ყველა ჯანსაღი)

4. საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მცენარეები. 2 შეფასებული ერთეული წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობას:
- 2 კაკლის ხე (Juglans regia) NN 15, 20

5. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. სულ გამოვლინდა 7 არაჯანსაღი (4 ხმობადი, 3 ზეხმელი) მცენარე, კერძოდ:
- 5 კანადური ვერხვი (Populus deltoides) NN 1 (ზეხმ.), 2 (ზეხმ.), 38 (ზეხმ.), 39 (ხმობ.), 44 (ხმობ.)
- 2 ჰიმალაის კედარი (Cedrus deodara) NN 33 (ხმობადი, ავარიული), 34 (ხმობადი)

6. ავარიული მცენარეები. 3 დიდტანიანი ხე-მცენარე ავარიულად იქნა მიჩნეული:
- კედარი N8 - ვერტიკალური მდგომარეობიდან ძლიერ გადახრილი
- კედარი N33 - ხმობადი, მეტწილად გამხმარი
- ვერხვი (Populus deltoides N39 - გადაბერებული, ხმობადი

ყველა მათგანი, წაქცევის მაღალი რისკის გამო, მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს გარემოსთვის (მათ შორის, ადამიანთა ქონებისა და ჯანმრთელობისთვის).

7. ჭრის რეკომენდაცია. რეკომენდებულია ტერიტორიაზე არსებული ყველა არაჯანსაღი მცენარეების მოჭრა, ხოლო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, **სამივე ავარიული ინდივიდის (კედარი N8, კედარი N33 და ვერხვი N39) მოჭრა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას**.

8. გადარგვადი მცენარეები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, შეფასებულ არახილკენკროვან მცენარეთაგან, 52 ერთეული შეიძლება დაექვემდებაროს გადარგვას - NN 3-7, 9-12, 14-16, 18-21, 24-25, 27-32, 35-37, 40, 42-43, 45, 47 (3), 48-67. მათგან, **25 სმ-ზე მეტი დიამეტრის არის 15 ინდივიდი:**
- 5 ბოკვი (Acer velutinum) NN 49, 50, 51, 66, 67
- 3 თუთა (Morus) NN 3, 5, 36
- 1 კავკასიური ცაცხვი (Tilia caucasica) N 57
- 6 ჰიმალაის კედარი (Cedrus deodara) NN 6, 7, 9, 10, 11, 35

მეტი დეტალისთვის იხილეთ:
- წინამდებარე დოკუმენტის 1-2 გვერდები;
- დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი;
- დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია;
- დამკვეთის მიერ თბილისის მიერიაში ამ დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (01008013049)

№2210-381 საექსპერტო დასკვნის

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.10.14.008.052

მისამართი:	თბილისი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N25
საკადასტრო კოდი:	01.10.14.008.052
ფართობი:	4839 მ^2
მესაკუთრე:	შპს “ალმა (ID № 204873388)
შეფასების მეთოდი:	ვიზუალური
შეფასების თარიღი:	02.10.2022
შემსრულებელი:	ლ. გოშაძე, ე. შარია

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	ვერხვი (Populus deltoides)	80	61	8.0	ზეხმელი/ გადანაბელი
2	ვერხვი (Populus deltoides)	86	63	8.0	ზეხმელი/ გადანაბელი
3	თუთა (Morus)	41	29	9.5	საღი/ გადარგვადი
4	თუთა (Morus)	21.7	15.6	8.5	საღი/ გადარგვადი
5	თუთა (Morus)	25.5	19.7	8.5	საღი/ გადარგვადი
6	კედარი (Cedrus deodara)	59	51	15.5	საღი/ გადარგვადი
7	კედარი (Cedrus deodara)	68	61	15.5	საღი/ გადარგვადი
8	კედარი (Cedrus deodara)	70	57	15.5	ავარიული/ გადახრილი
9	კედარი (Cedrus deodara)	57	53	15.5	საღი/ გადარგვადი
10	კედარი (Cedrus deodara)	72	64	15.5	საღი/ გადარგვადი
11	კედარი (Cedrus deodara)	84	76	16.5	საღი/ გადარგვადი
12	კვიდო (Ligustrum)	6.4	2.2	2.5	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
13	ლეღვი (Ficus carica)	0-4		3.0	საღი/ ხილკენკრ.
14	სირიული ვარდი (Hibiscus syriacus)	0-4		2.5	საღი/ გადარგვადი
15	კაკლის ხე (Juglans regia)	3.8	3.2	2.5	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
16	თუთა (Morus)	6.4	5.4	4.5	საღი/ გადარგვადი
17	ლეღვი (Ficus carica)	0-4		2.5	საღი/ ხილკენკრ.
18	ნეკერჩხალი ამერ. (Acer negundo)	3.2	2.2	2.5	საღი/ გადარგვადი
19	ბოკვი (Acer velutinum)	3.8	3.2	2.5	საღი/ გადარგვადი
20	კაკლის ხე (Juglans regia)	3.2	1.9	2.5	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
21	ნეკერჩხალი ამერ. (Acer negundo)	3.8	2.5	2.5	საღი/ გადარგვადი
22	ლეღვი (Ficus carica)	25.5	12.7	5.5	საღი/ მრავალღეროიანი/ ხილკენკრ.
23	ტყემალი (Prunus cerasifera)	6.4	4.8	3.0	საღი/ ხილკენკრ.
24	ბოკვი (Acer velutinum)	12.7	8.6	5.5	საღი/ გადარგვადი
25	ბოკვი (Acer velutinum)	7.0	5.7	3.5	საღი/ გადარგვადი
26	ლეღვი (Ficus carica)	4-8		4.0	საღი/ ხილკენკრ.
27	ბოკვი (Acer velutinum)	4-8		4.0	საღი/ გადარგვადი
28	ბოკვი (Acer velutinum)	4-8		4.0	საღი/ გადარგვადი
29	ბოკვი (Acer velutinum)	4-8		4.0	საღი/ გადარგვადი
30	ბოკვი (Acer velutinum)	4-8		4.0	საღი/ გადარგვადი
31	ბოკვი (Acer velutinum)	6.4	3.2	3.0	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
32	ბოკვი (Acer velutinum)	3.8	1.6	2.0	საღი/ გადარგვადი
33	კედარი (Cedrus deodara)	57	51	10.5	ხმობადი/ წვერხმელი
34	კედარი (Cedrus deodara)	48	41	14.5	ხმობადი/ წვერხმელი
35	კედარი (Cedrus deodara)	76	70	16.5	საღი/ გადარგვადი
36	თუთა (Morus)	60	51	10.5	საღი/ გადარგვადი
37	თუთა (Morus)	6.4	3.2	3.0	საღი/ გადარგვადი
38	ვერხვი (Populus deltoides)	76	64	7.0	ზეხმელი/ გადანაბელი
39	ვერხვი (Populus deltoides)	80	64	16.5	ხმობადი/ ავარიული
40	ბოკვი (Acer velutinum)	5.4	3.2	2.5	საღი/ გადარგვადი
41	ჭერამი (Prunus armeniaca)	6.4	3.8	3.0	საღი/ ხილკენკრ.
42	ვერხვი (Populus deltoides)	17.5	12.7	8.5	საღი/ გადარგვადი

43	ვერხვი (Populus deltoides)	22.9	15.9	8.5	საღი/ ფუღუროიან კუნძზე ამონაყარი/ გადარგვადი
44	ვერხვი (Populus deltoides)	29	3.2	2.5	ხმობადი/ ფუღუროიან კუნძზე ამონაყარი
45	ბოკვი (Acer velutinum)	5.4	3.2	2.5	საღი/ გადარგვადი
46	ტყემალი (Prunus cerasifera)	12.7	3.8	2.5	საღი/ ხილკენკრ.
47	ბოკვი (Acer velutinum)	0-4		1.5	საღი/ 3 ძირი/ გადარგვადი
48	აკაცია (Robinia pseudoacacia)	3.2	1.6	1.5	საღი/ გადარგვადი
49	ბოკვი (Acer velutinum)	83	76	15.0	საღი/ გადარგვადი
50	ბოკვი (Acer velutinum)	59	54	15.5	საღი/ გადარგვადი
51	ბოკვი (Acer velutinum)	83	76	15.0	საღი/ გადარგვადი
52	ბოკვი (Acer velutinum)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი
53	ბოკვი (Acer velutinum)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი
54	ბოკვი (Acer velutinum)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი
55	ბოკვი (Acer velutinum)	0-4		3.0	საღი/ გადარგვადი
56	ბოკვი (Acer velutinum)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი
57	ცაცხვი (Tilia caucasica)	38	25.5	8.5	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
58	ბოკვი (Acer velutinum)	4-8		3.0	საღი/ გადარგვადი
59	ბოკვი (Acer velutinum)	4-8		3.0	საღი/ გადარგვადი
60	ბოკვი (Acer velutinum)	4-8		3.0	საღი/ გადარგვადი
61	ნეკერჩხალი ამერ. (Acer negundo)	4-8		3.0	საღი/ გადარგვადი
62	ოლეანდრი (Nerium oleander)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი
63	ბოკვი (Acer velutinum)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი
64	ბოკვი (Acer velutinum)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
65	ბოკვი (Acer velutinum)	0-4		1.5	საღი/ გადარგვადი
66	ბოკვი (Acer velutinum)	61	53	12.5	საღი/ გადარგვადი
67	ბოკვი (Acer velutinum)	62	54	12.5	საღი/ გადარგვადი

ლევან გოშაძე *ექსპერტი;* ემზარ შარია *დირექტორი, შპს დემასო ვუდ 1*



№1



№2



№3



№4



№5



№6



№7



№8



№9



№10



№11



№12



№13



№14



№15



№16



№17



№18



№19



№20



№21



№22



№23



№24



№25



№26



№27



№28



№29



№30



№31



№32



№33



№34



№35



№36



№37



№38



№39



№40



№41



№42



№43



№44



№45



№46



№47



№48



№49



№50



№51



№52



№53



№54



№55



№56



№57



№58



№59



№60



№61



№62



№63



№64



№65



№66



№67

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული აზომვითი ნახაზი



შენიშვნა: მიწის სამუშაოების დაწყების წინ, გამოძახებული უნდა იქნას, მიწისქვეშა კომუნიკაციის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი

პირობითი აღნიშვნები	ტოპოგრაფიული ნახაზი მ 1:500 / რელიეფის კვეთა 0.5მ			პროექცია UTM 38N საკოორდინატო სისტემა WGS 84	შპს „ორიონი" Ltd"orioni" ქ. თბილისი, ხანძთელის ქუჩა №1 ტელ: +995 557-51-51-15 E-mail: Ltdorioni@mail.ru
მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ცოცხალი ღობე	ღობე	
	შენობა	გაზონი	ხეების რიგი	ბორდიური	
კანალიზაცია	ორკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი	ბეტონი	დირექტორი — მ. ცინცაძე
დენის კაბელი	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი	
	კიბე	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი	კომპ. უზრუნველყოფა — მ. ცინცაძე
გაზის მილი	ფოთლოვანი ხე	ონკანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი	აზომვა — მ. ცინცაძე
წყლის მილი	წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური	მისამართი — ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №25 ს/კ 01.10.14.008.052
კავშირგაბმულობა	ხეხილის ხე	შენიშვნასამართი ხაფური	იზოჰიფსი	ფლატე	
	პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი იზოჰიფსი	წყლის კონტური	მასშტაბი 1:500 — 11.01.2019

შპს დემასო ვუდ 1

ს/კ 400331716

№ 2211-481 15.11.2022

შპს “ალმას”

გაცნობებთ, რომ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის წარმოდგენის შემდგომ, შპს „დემასო ვუდ 1“ მზადაა თქვენს საკუთრებაში არსებულ ს/კ 01.10.14.008.052 მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. თბილისი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N25) განახორციელოს 8 დიდტანიანი ხე-მცენარის (დიამეტრები – 59 სმ, 68 სმ, 57 სმ, 72 სმ, 84 სმ, 76 სმ, 60 სმ და 38 სმ) გადარგვა თანდართული გადარგვის პროექტის (დოკუმენტი № 2211-471) შესაბამისად.

“გახარების მაღალი ალბათობა” გულისხმობს, რომ შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, და თუ მცენარეებზე მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას არ ექნება ადგილი, მათი გახარების ალბათობა მოსალოდნელია რომ იყოს ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი პირვანდელ ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.

პატივისცემით,

ემზარ შარია

დირექტორი

თბილისი, ც. დადიანის გამზ. № 34, ბინა 2 • App. 2, 34 Ts. Dadiani Avenue, Tbilisi, Georgia

✆ (+995) 593 18 18 70 • ✉ demasowood@gmail.com

დოკ. №: 2211-471

თარიღი: 15.11.2022

DEMASO WOOD 1

დიდტანიან მცენარეთა გადარგვის პროექტი

გადაირგვება ერთი (იმავე) მიწის ნაკვეთის ფარგლებში

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N25	*01.10.14.008.052*	*შპს "ალმა*	*4839 მ²*

გადასარგავ დიდტანიან (d > 25 სმ) მცენარეთა რაოდენობა: ***8***

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
გადასარგავი მცენარეები	*1*
ნიადაგის მომზადება გადასარგავად	*1*
ხე-მცენარის ამოღება	*1*
ხე–მცენარის გადარგვა	*2*
გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა	*3*

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70



შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის N25 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.10.14.008.052 მიწის ნაკვეთზე მშენებლობის პროექტის ფარგლებში 8 ძირი დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე) ხე-მცენარის გადარგვისა და შემდგომი მოვლა-პატრონობის სამუშაოების ჩატარების მეთოდური მითითებები და დასაცავი პირობები.

აღნიშნული 8 დიდტანიანი ხის გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია „დემასო ვუდის“ (ექსპერტი – ლევან გოშაძე) 05.10.2022 №2210-381 საექსპერტო დასკვნით.

წინამდებარე გადარგვის პროექტის მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვა უზრუნველყოფს გადარგული მცენარეების გახარებას.

მცენარეები გადაირგვება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, სადაც ისინი ამჟამად მდებარეობენ (ს/კ 01.10.14.008.052).

გადარგვის სამუშაოები ჩატარდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში.

გადასარგავი მცენარეები

ს/კ 01.10.14.008.052 მიწის ნაკვეთის ფარგლებში, მშენებლობის პროექტით იგეგმება 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე 8 ხე-მცენარის - 6 კედარის (Cedrus deodara), 1 თუთის (Morus) და 1 ცაცხვის (Tilia caucasica) გადარგვა. მათი ზოგადი მახასიათებლები გადასარგავი კომის ზომების ჩათვლით მოცემულია ცხრილ 1-ში.

აღნიშნულ ხეებს „დემასო ვუდის“ (ექსპერტი – ლევან გოშაძე) 05.10.2022 №2210-381 საექსპერტო დასკვნაში მინიჭებული აქვს შემდეგი ნომრები: 6 კედარი - NN 6, 7, 9, 10, 11, 35; 1 თუთა - N 36; 1 ცაცხვი - N 57.

ცხრილი 1. გადასარგავი ხეების ნუსხა, მათი ტაქსაციური მაჩვენებლები და კომის ზომები.

რიგ. №	ხის №	სახეობა	კომის სიგანე (სმ)	ღეროს ⌀ (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)
				10 სმ	1.3 მ	
1	6	კედარი (Cedrus deodara)	413	59	51	15.5
2	7	კედარი (Cedrus deodara)	476	68	61	15.5
3	9	კედარი (Cedrus deodara)	399	57	53	15.5
4	10	კედარი (Cedrus deodara)	504	72	64	15.5
5	11	კედარი (Cedrus deodara)	588	84	76	16.5
6	35	კედარი (Cedrus deodara)	532	76	70	16.5
7	36	თუთა (Morus)	420	60	51	10.5
8	57	ცაცხვი (Tilia caucasica)	266	38	25.5	8.5

ნიადაგის მომზადება გადასარგავად

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე ასევე უნდა მოხდეს დასარგავი ადგილის განთავისუფლება სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად, მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით.

ხე-მცენარის ამოღება

1. გადასარგავი ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს: დიამეტრი - ფესვის ყელთან არსებული ღეროს დიამეტრის არანაკლებ შვიდმაგი ოდენობით (ცხრილი 1), სიღრმე - კომის დიამეტრის ნახევრიდან 1.7 მ-მდე.
2. კომის გამოყოფა ნიადაგიდან და მისი ამოღება საჭიროა განხორციელდეს სპეც-ტექნიკის საშუალებით, განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე, რომ კომი დაცული იყოს მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან და არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა.
3. ამოღებისას კომი დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს სპეციალური ბადით ან ჯვალოს მატერიით და მისი ფიქსირება მოხდეს ისე, რომ გადატანის დროს უზრუნველყოფილი იყოს მისი მთლიანობის შენარჩუნება.
4. ტრანსპორტირების შემთხვევაში, შეფუთულ კომს გაუკეთდეს დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩო, მავთულბადე, ჭილოფი, ასაწყობი ყუთები, მეტალის სხვადასხვა კოსტრუქცია ან/და სხვ.).
5. მიწის კომის შეფუთვის შემდგომ ხის ღეროზე გაკეთდეს სპეციალური შალითა, რომელიც შეიძლება დამზადებული იყოს ქეჩის, ტყავის ან ბრეზენტისგან. შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამბი დაცული იყოს შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან.
6. საჭიროების შემთხვევაში, ხე-მცენარეებზე ხორცილედება სხვლა-ფორმირება, რათა გადაადგილებისას თავიდან ავიცილოთ მცენარის ისეთი არასასურველი რყევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომის შიგნით ფესვების დაგლეჯა და ნიადაგის მოშორება.

ხე–მცენარის გადარგვა

1. გადარგვის დანიშნულების წერტილი უნდა იყოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველიდან მინიმუმ 3 მ-ის დაშორებით.
2. გადასარგავ ადგილზე აუცილებელია წინასწარ მომზადდეს გადასარგავი ორმო:
    - რომელსაც გადასარგავი კომის ზომებთან შედარებით სასურველია ჰქონდეს 0.5-0.9 მ-ით მეტი დიამეტრი და 0.2-0.25 მ-ით მეტი სიღრმე;
    - ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდებითა და ფუნგიციდებით, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი დაზიანებები და დაავადებები, რომლებსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
    - ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
    - თითოეულ ორმოში უნდა ჩაიყაროს 15-20 კგ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელი და ტორფ-დოლომიტი).
3. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით.
4. ხე-მცენარე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწის გამოყენებით ისე, რომ მისი კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან, ხოლო ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 7-10 სმ-ით ზემოთ დარჩეს.
5. ორმოში განთავსების შემდეგ, ხე უნდა აიკრას საყრდენზე ან გამაგრდეს თოკებით სამი მხრიდან.
6. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;

7. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით.
8. ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
9. ხე-მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

1. ხე-მცენარის დარგვისთანავე მასზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.
2. ხე-მცენარის მოვლა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში.
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა, გაფხვიერება და განახლება.
4. მორწყვა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ.
5. დამატებითი მორწყვა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით.
6. განსაკუთრებით ინტენსიური მორწყვა საჭიროა ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. შესაბამისად ინტენსიური მორწყვა დაიწყოს მაისის თვიდან.
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად.
8. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.
9. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (პ/ნ 01008013049)

წერილის ნომერი: **18-01223213219**
თარიღი: **17/11/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01223202089
წერილის თარიღი:	16 ნოემბერი, 2018
განმცხადებელი:	კონსტანტინე ურუშაძე
განაცხადის N	AR1922715
მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, #25
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.14.008.052
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ალმა“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია გადამრგველი ფიზიკური/იურიდიული პირის თანხმობა მწვანე ნარგავების გადარგვის შესახებ საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ფოტოსურათები სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება (№01.012221611) 2019 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებაში (#№01.01192952) ცვლილების შეტანის თაობაზე
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-5 მუხლის მე.. პუნქტი; კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“, ,,გ“ ქვეპუნქტები; კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“, ,,ი“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5 მუხლები; 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“, ,,გ“ ქვეპუნქტები; 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 32-ე მუხლი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, ხოლო ამგვარი გზით ნარჩუნდება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, მშენებლობის მიზნით, გასცეს საპროექტო კონტურში განთავსებული **32 მწვანე ნარგავ(ებ)ის *(კედარი #6-59სმ; #7-68სმ; #9-57სმ; #10-72სმ; #11-84სმ; #35-76სმ; კვიდო #12-6,4სმ; სირიული ვარდი #14-4სმ; კაკალი #15-3,8სმ; #20-3,2სმ; თუთა #16-6,4სმ; #36-60სმ; ნეკერჩხალი ამერიკული #18-3,2სმ; #21-3,8სმ; #61-8სმ; ბოკვი #19-3,8სმ; #24-12,7სმ; #25-7სმ; #27-8სმ; #28-8სმ; #29-8სმ; #32-3,8სმ; #45-5,4სმ; #55-4სმ; #60-8სმ; #63-4სმ; #64-4სმ; #65-4სმ; ვერხვი #42-17,5სმ; აკაცია #48-3,2სმ; ცაცხვი #57-38სმ; ოლეანდრა #62-4სმ) იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და ინფორმაციული წერილით სამსახურს მომართავს გადარგვის დაწყებამდე ორი სამუშაო დღით ადრე.***

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებულ, ზეხმელ, ხმობად, დაავადებულ, წვერხმელ, ფაუტ, გადაბერებულ, ავარიულ მწვანე ნარგავებზე. ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული **6 ძირი** მწვანე ნარგავი, **ზეხმელია, ხმობადია, ავარიულია**, მათი მოჭრით არ დაირღვევა მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური გასცემს ***3 ძირი ავარიული და ხმობადი კედარის (#8-70სმ; #33-57სმ; #34-48სმ) და 3 ძირი ზეხმელი და ხმობადი ვერხვის (#38-76სმ; #39-80სმ; #44-29სმ) მოჭრის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, რაც პროექტის შეთანხმების ეტაპზე განმცხადებელი წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.***

აღნიშნული ნებართვა ძალაში შევა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და სამსახურს ინფორმაციული წერილით მომართავს ჭრების დაწყებამდე ორი სამუშაო დღით ადრე.

ნებართვის მიღების შემდგომ განმცხადებელს ევალება საკომპენსაციო რგვის ფარგლებში **6 ძირი ნერგის დარგვა,** რომელსაც უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი.

მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).

წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.

ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს იმავე საკადასტრო მიწაზე ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

დასარგავი მცენარის სახეობა (კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი სახეობის ხეების გარდა) უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

ჯანსაღი მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა, თუ ისინი პირდაპირ აფერხებენ მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს გახდის მშენებლობის განხორციელებას. ვინაიდან განმცხადებლის სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული **6 ძირი მწვანე ნარგავი** ხელს უშლის მშენებლობის განხორციელებას და ვინაიდან, მათი მოჭრით არ დაირღვევა ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მოსაჭრელი ხეების რაოდენობა არ აღემატება ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების 25%, სამსახური გასცემს ***4 ძირი ბოკვის (#30-8სმ; #31-6,4სმ; #40-5,4სმ; #47-4სმ) 1 ძირი თუთის (#37-6,4სმ) და 1 ძირი ვერხვის (#43-22,9სმ) მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც განმცხადებელი სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვასა და ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანისთვის აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს 960 (ცხრაას სამოცი) ლარს. (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი- #300773292 ბანკის კოდი- TRESGE22).***

დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე მოსაჭრელი/გადასარგავი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება (7)-ს; მათი (13; 17; 22; 23; 26; 41; 46) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

ამდენად, სამსახური გასცემს დადებით პოზიციას, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი მცენარეების შენარჩუნების (გარდა, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი მცენარეების) პირობით.

ინფორმაციული

სამსახურის პოზიცია, ნარგავ(ებ)ის მოჭრა/გადარგვასთან დაკავშირებით ძალაში შევა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და მოჭრა/გადარგვის დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობებს დაგეგმილი სამუშაოების დაწყების თარიღისა და დროის ინტერვალის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით.

აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

მწვანე ნარგავების გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე

არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, სამ თვეში ერთხელ, წერილობით, უნდა წარმოადგინოთ გადარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ასევე გაცნობებთ, რომ გევალებათ ზეხმელი/ხმობადი მოსაჭრელი ხეების სანაცვლოდ, ნებართვის მიღებიდან მცენარეთა განვითარების პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში თქვენსავე ტერიტორიაზე აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით საკომპენსაციო რგვა და დარგული მწვანე ნარგავების შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობა.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავის საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული ან ხდება შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები.

ტერიტორიაზე გასაშენებელ მწვანე ნარგავებს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).

წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.

ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გასათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების მოჭრის ანდა გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



სიტუაციური გეგმა



ტოპო გეგმა მ - 1:1000



დაპროექტებული შენობა

წითელი ხაზები

დამკვეთი:	შ.პ.ს."ვაჟა-ფშაველა თაუერსი" ს/ნ 404651015
შემსრულებელი:	ლიანა ქესანაშვილი

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა

1



5



7



2





8



3



9



4



6



დამკვეთი:	შ.პ.ს."ვაჯა-ფშაველა" თაუერსი ს/ნ 404651015
შემსრულებელი:	ლიანა ქესანაშვილი

ტოპოგეგმა მცენარეების დატანით(არსებული სიტუაცია)



დამკვეთი:	შ.პ.ს."ვაჯა-ფშაველა თაუერსი" ს/ნ 404651015
შემსრულებელი:	ლიანა ქესანაშვილი

გასაშენებელი და არსებული მცენარეების განლაგება გენგეგმაზე

გენგეგმა მ–1:250



-მშენება

-საპროექტო საზღვარი

შენიშვნა: ბარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ნებართვის თანახმად ხეები: №8, №13, №17, №22, №23, №26, №30, №31, №33, №34, №37, №38, №39, , №40, №41, №43, №44, №46, №47 -მოიჭრება.
ხეები: №6, №7, №9, №10, №11, №35, №12, №14, №15, №20, №16, №36, №18, №21, №61, №19, №24, №25, №27, №28, №29, №32, №45, №55, №60, №63, №64, №65, №42, №48, №57, №62 – გადარგვება იქვე ტერიტორიაზე მითითებულ ადგილზე.
ამავე სამსახურის მოთხოვნის თანახმად ტერიტორიაზე დაირგვება 6ც (№68, №69) ახალი, დიდტანიანი ფოთლოვანი ხე.

კვ კოეფიციენტის დაანგარიშება

მიწის ნაკვეთის ფართობი: 4839კვ.მ

კ–3 კოეფიციენტი (147.55+335.71)
483.26/4839=0.09=0.1

კ–3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი 483.26 კვ.მ

პირობითი აღნიშვნა:

ტერიტორიაზე თავის ადგილზე დასარჩენი ხეები

გადასარგავი ხეების ახალი ადგილები

ახალი დასარგავი მცენარეები

ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები

№	ჩვეულრივ დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან: 10 სმ	1.3 მ	სიმაღლე (მ)	კომენტარი
1	ვერხვი (Populus deltoides)	60	51	6.0	ნებისმიერი გადარჩენილი
2	ვერხვი (Populus deltoides)	66	53	6.0	ნებისმიერი გადარჩენილი
3	ირგვა (Morus)	41	29	9.5	საერო გადარჩენილი
4	ირგვა (Morus)	21.7	15.6	8.5	საერო გადარჩენილი
5	ირგვა (Morus)	25.0	19.7	9.5	საერო გადარჩენილი
6	ცედარი (Cedrus deodara)	50	51	15.5	საერო გადარჩენილი
7	ცედარი (Cedrus deodara)	68	51	15.5	საერო გადარჩენილი
9	ცედარი (Cedrus deodara)	51	51	15.5	საერო გადარჩენილი
10	ცედარი (Cedrus deodara)	72	54	15.5	საერო გადარჩენილი
11	ცედარი (Cedrus deodara)	84	74	15.5	საერო გადარჩენილი
12	ცედარი (Cedrus deodara)	6.4	7.7	7.5	საერო მნიშვნელოვნად გადარჩენილი
14	სოსორელი ჯიში (Fraxinus ornacea)	10.4		2.5	საერო გადარჩენილი
15	ალუბლის ხე (Juglans regia)	3.8	3.2	2.5	საერო ნორმ. ნებისმიერი გადარჩენილი
16	ირგვა (Morus)	6.4	5.4	4.5	საერო გადარჩენილი
18	წაბლისებრი ჯიში (Acer negundo)	3.2	2.7	2.5	საერო გადარჩენილი
19	ნოკვა (Acer velutinum)	3.8	3.2	2.5	საერო ნორმ. ნებისმიერი გადარჩენილი
20	ალუბლის ხე (Juglans regia)	3.2	2.7	2.5	საერო ნორმ. ნებისმიერი გადარჩენილი
21	წაბლისებრი ჯიში (Acer negundo)	3.8	2.5	2.5	საერო გადარჩენილი
24	ნოკვა (Acer velutinum)	12.7	8.5	3.5	საერო გადარჩენილი
25	ნოკვა (Acer velutinum)	7.0	5.7	2.5	საერო გადარჩენილი
27	ნოკვა (Acer velutinum)	4.8		4.0	საერო გადარჩენილი
28	ნოკვა (Acer velutinum)	4.8		4.0	საერო გადარჩენილი
29	ნოკვა (Acer velutinum)	4.8		4.0	საერო გადარჩენილი
32	ნოკვა (Acer velutinum)	3.8	3.2	2.0	საერო გადარჩენილი
35	ცედარი (Cedrus deodara)	76	70	15.5	საერო გადარჩენილი
36	ირგვა (Morus)	66	51	11.5	საერო გადარჩენილი
42	ვერხვი (Populus deltoides)	37.9	32.7	8.5	საერო გადარჩენილი

№	ჩვეულრივ დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან: 10 სმ	1.3 მ	სიმაღლე (მ)	კომენტარი
45	ნოკვა (Acer velutinum)	8.4	5.2	2.5	საერო გადარჩენილი
46	ცაცხვი (Tilia tuanzaica)	38	25.5	8.5	საერო მნიშვნელოვნად გადარჩენილი
47	ნოკვა (Acer velutinum)	4.8		3.0	საერო გადარჩენილი
48	ნოკვა (Acer velutinum)	4.8		3.0	საერო გადარჩენილი
55	წაბლისებრი ჯიში (Acer negundo)	4.8		3.0	საერო გადარჩენილი
57	ნოკვა (Acer velutinum)	3.8		2.0	საერო გადარჩენილი
60	ნოკვა (Acer velutinum)	3.8		2.0	საერო გადარჩენილი
61	ნოკვა (Acer velutinum)	3.8		2.0	საერო გადარჩენილი
62	ნოკვა (Acer velutinum)	3.8		2.0	საერო გადარჩენილი
63	ნოკვა (Acer velutinum)	3.8		2.0	საერო გადარჩენილი
64	ნოკვა (Acer velutinum)	3.8		2.0	საერო გადარჩენილი
65	ნოკვა (Acer velutinum)	3.8		2.0	საერო გადარჩენილი
66	ნოკვა (Acer velutinum)	3.8		2.0	საერო გადარჩენილი
68	ნოკვა (Acer velutinum)	3.8		2.0	საერო გადარჩენილი

დასარგავი მცენარეები

№	სახეობა		რაოდენობა	ხარისხის მოთხოვნა (ასაკი, სიმაღლე, ტოტების რაოდენობა)	სიმაღლე (მ) (ასაკი, ტოტები)	შენიშვნა
68	● საბის ხე	(Koelreuteria)	4	20	3.5	
69	● იფანი	(Fraxinus)	2	20	3.5	

● –მცენარეები შერჩეული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან 2018 წლის 8 თებერვლის 05.14.147 განაცხადებით შეთანხმებული პირობებში ხეების სიით№6.

ახლად დარგული ხე– მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა შეადგენს 3-წელს.
ახლად დარგული ხე– მცენარეების მოვლა-პატრონობაზე
პასუხისმგებლობას იღებს მესაკუთრე ვასილ ფხაკაძე ს/ნ 01008027919

დამკვეთი:	შ.პ.ს."ვაჯა-ფშაველა თაუერსი" ს/ნ 404651015
შემსრულებელი:	ლიანა ქესანაშვილი

გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შ.პ.ს. "ვაჟა-ფშაველა თაუერსი" ს/ნ 404651015

პროექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა

საპროექტო ტერიტორია: ს.კ. №01.10.14.008.052

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 25

გამწვანების კოეფიციენტი:(კ-3)=0.1;საანგარიშო ფართობი 483.26 კვ.მ.

ნებართვის გამცემი ორგანო:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
გარემოს დაცვის სამსახური
დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების
თარიღი:
დენდროლოგიური პროექტის დასრულების
თარიღი: ექსპლუატაციაში ჩაბარებამდე, 2026წ

ტერიტორიაზე არსებული მცენარეები:

1.ვერხვი – 3ც
2.ცთუთა – 5ც
3. კედარი – 7ც
4. კვიდო -1ც
5. კაკალი – 2ც
6. ნეკერჩხალი – 3ც
7. ბოკვი – 24ც
8. აკაცია – 1ც
9 ცაცხვი – 1ც
10 ოლეანდრი – 1ც

დასარგავი ხე-მცენარეების სახეობები:

1. საპნის ხე -3ც; სიმაღლე არანაკლებ 3.5მ;გარშემოწერილობა არანაკლებ 20სმ;
2. იფანი -2ც; სიმაღლე არანაკლებ 3.5მ; გარშემოწერილობა არანაკლებ 20სმ;

ახალი ხეების ასაკი არანაკლებ 5წ

გაშენებულ ხე-მცენრეების მოვლა-პატრონობაზე
პასუხისმგებელი პირი: შ.პ.ს.ვასილ ფხაკაძე ს/ნ 01008027919
გაშენებულ ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3წელი







ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230952041**
თარიღი: **05/04/2023**

ადრესატი: ნესტორი არჩუაძე
პირადი ნომერი: 01021011607
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, III მიკრო/რაიონი, V კვარტალი, კორპუსი 24ა, ბინა 43

ბატონო ნესტორ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2023 წლის 30 მარტის № 01230893770-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2023 წლის 30 მარტის № 01230893770-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 25-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.10.14.008.052) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

სამშენებლო ღობის მონტაჟი-დემონტაჟის პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია, იმ პირობით, რომ სამუშაოები იწარმოებს 1(ერთი) თვის განმავლობაში, მხოლოდ ღამის საათებში, 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე პერიოდში, ხოლო დღის საათებში მოხსნილი იქნება ყველანაირის შეზღუდვა.

მშენებლობის პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია, იმ პირობით, რომ სამუშაოები იწარმოებს 5(ხუთი) წლის განმავლობაში.

შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია, იმ პირობით, რომ შესასლველ-გამოსასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები იწარმოებს 5(ხუთი) თვის განმავლობაში, მხოლოდ ღამის საათებში, 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე პერიოდში, ხოლო დღის საათებში მოხსნილი იქნება ყველანაირის შეზღუდვა.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

სამუშაო ზონის მიმდებარე ტერიტორია სრულად უნდა აღიჭურვოს საგზაო ნიშნებით, შეთანხმებული სქემის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილით N16-01230901577 2023 წლის 31 მარტის შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/1nXwI90XoCpMEzU

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ღობის მონტაჟი-დემონტაჟის სამუშაოები შესრულდება საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმებიდან 1 თვის მანძილზე 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე, ხოლო დღის მანძილზე მოხსნილი იქნება ყველანაირი შეზღუდვა.



საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

	მისამართი:
ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარედ (ს.კ. 01.10.14.008.052) საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა. (ღობის მონტაჟი-დემონტაჟი)	
თარიღი: 2023 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს. "ვისოლი"

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: ნიკა სიდამონიძე
ტელ: 598-77-88-48

შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

	1.26 -2ც
	3.24 - 1ც
	3.25 - 1ც
	8.2.1 - 1ც
	შუქ. ტ7-1ც



პირობითი აღნიშვნები



SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

სამშენებლო სამუშაოები შესრულდება 2023 წლის აპრილიდან 5 წლის განმავლობაში.

დროებითი სამშენებლო ღობე

01.10.14.008.052

ვაჟა-ფშაველას გამზ.



საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარედ
(ს.კ. 01.10.14.008.052)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.
(მშენებლობის პერიოდი)

თარიღი: 2023 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს. "ვისოლი"

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: ნიკა სიდამონიძე
ტელ: 598-77-88-48

შეამოწმა: ვახტანგ თაქდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

შქ. ტ7-1ბ

პირობითი აღნიშვნები



SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები შესრულდება მშენებლობის დასრულების შემდგომ პერიოდში 5 თვის მანძილზე 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე, ხოლო დღის მანძილზე მოხსნილი იქნება ქველანაირი შეზღუდვა.



საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

	მისამართი:
ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარედ (ს.კ. 01.10.14.008.052) საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა. (შესასვლელ-გამოსასვლელის მოწყობა)	
თარიღი: 2023 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს. "ვისოლი"

შპს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: ნიკა სიდამონიძე
ტელ: 598-77-88-48

შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

პირობითი აღნიშვნები



შენიშვნა:
დროებითი სქემა შეთანხმებულია "ორდე 218.6.014-2014" და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად

1. გამავრთხილებელი ზოლის სიმარქ შესაღებს 50 მეტრს.
2. შუხრუხული ზოლის სიმარქ შესაღებს 15 მეტრს.
3. საავალი ნაწილის დახეხრული ზოლის სიგანის 1.5 მ და ნაკადის სიჩქარის 40 კმ/სთ შესაბამისს გაღლებს ზოლის სიმარქ შესაბამისს საანგარიშო ზოლების მიხედვით შესაღებს 5 მ.
4. შუხქცევარი ზოლის სიმარქ შესაღებს 140 მ.
5. ნახაზზე ნაჩვენებია დროებითი საგზაო ნიშნები.
6. სქემაზე დატანილია დროებითი საგზაო მოწყობები.
7. ქვეითთა ნაკადი მოძრაობს სპეციალურ მოკირწყლულ ბილიკზე.

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარედ
(ს.კ. 01.10.14.008.052)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

თარიღი: 2023 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს. "ვისოლი"

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: ნიკა სიდამონიძე
ტელ: 598-77-88-48

შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

2.3- 2ც

5.7.1- 2ც

7.4- 4ც

8.6.2- 3ც

8.6.3- 1ც

პირობითი აღნიშვნები



შენიშვნა:
პანდუსის პარამეტრები განისაზღვრება 41-ე დაბგენილების კვეთავი 406 -ის მიხედვით.

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 4 23 00965068

05/04/2023

შპს ''ეს თი ეს"-ის
დირექტორი ნ.არჩუაძე
თბილისი, ნ. ყიფშიძეს ქუჩა, N 2, კორ 1, ბინა 7
თქვენს 2023 წლის 05 აპრილის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ ქ.თბილისი, გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 25-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.10.14.008.052) შესასვლელ-გამოსასვლელი გზის, სამშენებლო დამცავი ღობის მოწყობის და საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი დროებითი და მუდმივი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (05.04.23წ 16-01230952041) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო ღობის მონტაჟი-დემონტაჟის პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამუშაოები იწარმოებს 1(ერთი) თვის განმავლობაში, მხოლოდ ღამის საათებში, 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე პერიოდში, ხოლო დღის საათებში მოხსნილი იქნება ყველანაირის შეზღუდვა.
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

შესასლველ-გამოსასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები იწარმოებს 5(ხუთი) თვის განმავლობაში, მხოლოდ ღამის საათებში, 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე პერიოდში, ხოლო დღის საათებში მოხსნილი იქნება ყველანაირის შეზღუდვა.

- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- მშენებლობის პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია, იმ პირობით, რომ სამუშაოები იწარმოებს 5(ხუთი) წლის განმავლობაში.
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: სქემა 1 ფაილად

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით